

ქ. თბილისის ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლის „ცისკარი“
პედაგოგების ნანა ვაჩიბერიძის, მათა ცინაძის და ინგა თეთრაძის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

“საშინაო დავალებასთან დაკავშირებული სირთულეები“

საშინაო დავალების მნიშვნელობასა და მიზნობრიობაზე მრავალი წელია კამათობენ. ფიქრობენ, რომ საშინაო დავალებას უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე - სიკეთის. ზოგს მიაჩნია, რომ საშინაო დავალება დამატებით სტრესს იწვევს. ნაწილი კი მას დამოუკიდებლად ფიქრის საშუალებად მიიჩნევს.

ივნისი, 2019 წელი

სარჩევი

შესავალი	3
თავი I	7
საკვლევი საკითხის მიმოხილვა, პრობლემის აქტუალობის დასაბუთება სამიზნე ჯგუფი	
თავი II	8
ლიტერატურის მიმოხილვა	
თავი III	15
საკვლევი კითხვების ფორმულირება, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის გეგმა	
თავი IV.....	19
ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგები	
თავი V	36
კვლევის მეთოდების განხილვა, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგი და მათი ანალიზი	
თავი VI	41
პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა	
თავი VII	43
პროექტის ვადები, მიგნებები , რეკომენდაციები, კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა, ბიბლიოგრაფია.	

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქ.თბილისის ვ.ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლის დაწყებითი საფეხურის 1-ლი, მე-3 და მე-5 კლასებში მათემატიკის საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სასწავლო სისტემაში საშინაო დავალება სწავლების ერთ-ერთი უმდგენელი ნაწილია. მოსწავლეთათვის საშინაო დავალების სწორად შერჩევა სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია.

რა ხდება ჩვენთან, საქართველოში? რა დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულებასთან? რა უარყოფით შედეგებს ვიღებთ არასწორად შერჩეული საშინაო დავალების შედეგად?

ერთი სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებსა და მშობლებში ჩავატარეთ კვლევა, თუ რა დროს ანდომებენ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები მათემატიკის საშინაო დავალების შესრულებას. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შესრულების დრო დამოკიდებულია დავალების სირთულესა და მოცულობაზე. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეებს საკმარისზე მეტი დრო სჭირდებათ დავალების შესასრულებლად. უფრო მეტიც, დაწყებით საფეხურზე ბავშვებს თავისუფალი დრო თითქმის არ რჩებათ.

საშინაო დავალების არსი მდგომარეობს შემდეგში: მოსწავლეები განიმტკიცებენ გაკვეთილზე შეძენილ ცოდნას, ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას, საშინაო დავალება მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, თვალყური ადევნონ შვილის სასკოლო საქმიანობას. საშინაო დავალება მოსწავლეებს უვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას და არაპირდაპირ ასწავლის დროის მენეჯმენტს, რაც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში.

მეცნიერების აზრით, მოსწავლეებისთვის მიცემული საშინაო დავალება კლასების შესაბამისად და გონივრულად უნდა იყოს შერჩეული, რათა მოსწავლეს დარჩეს საკმარისი დრო თანატოლებთან თამაშისა და მშობლებთან ურთიერთობისთვის. ფსიქოლოგების აზრით, პატარა ბავშვებისთვის თამაში არ არის მხოლოდ გართობა, არამედ ეხმარება მათ, პრაქტიკაში შეიმეცნონ სამყარო.

კვლევები საშინაო დავალების ეფექტურობის შესახებ შერეულ შედეგებს გვაწვდის (Cooper, Robinson & Patall, 2006; Trautwein, 2007).

თანამედროვე კვლევებმა დაადასტურა ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა ბავშვებში. რაც გულისხმობს, გააცნობიერო შენი და სხვების ემოციები, სწორედ ამაზეა დამოკიდებული შემდეგი წარმატება. თუ მოსწავლე სულ წიგნებშია ჩაფლული, მას აღარ

რჩება დრო გააცნობიეროს თავისი და სხვების ემოციები, რაც ხელს უშლის მის განვითარებას.

ალბათ გსმენიათ განაწყენებული მშობლების წუხილი შვილების დავალების მოცულობასა და რაოდენობაზე. აქვე სირთულეც იჩენს თავს და თავბრუდახვეული ოჯახის წევრები თავს ვერ ართმევენ საშინაო დავალების შესრულებას. ხშირად, მეგობრებისგან მეც მომისმენია ერთგვარი „წუხილი“, რომ სალამოს დრო არ აქვთ იმიტომ, რომ ბავშვები უნდა ამეცადინონ და რომ ეს ყოველდღიურ რუტინად იქცა მათ ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც მათმა შვილებმა სკოლის კარი შეაღეს. ვფიქრობ, ყველა ჩვენგანს გვყავს სანაცნობო წრეში მშობლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები საშინაო დავალებების მომზადებაში, ალბათ ოჯახების უმრავლესობაში თითქმის ყოველდღე ისმის შეკითხვა: „დაიწყე მეცადინეობა? მე რა გითხარი? რანაირად დაწერე? რა ქენი, იმეცადინე? რამდენჯერ უნდა გაგიმეორო ერთი და იგივე?“, ხშირად ეს ყვირილსა და ჩხუბში გადაიზრდება, წამოიჭრება პრობლემა – ერთ მხარეს დგას შეშინებული, დათრგუნული ბავშვი, მეორე მხარეს – შეწუხებული მშობელი.

რა ხდება მასწავლებლების მხარეს?

ზოგი მათგანი კლასში თუ ვერ მოასწრებს ახსნილი საკითხის ირგვლივ სავარჯიშოების შესრულებას, შინ შესასრულებლად უამრავ საკითხს აძლევს და არ ითვალისწინებს სირთულესა და ოდენობას, მთავარია, „სრულყო“ მასალა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეს მხოლოდ ერთ საგანში არ აქვს საშინაო დავალება შესასრულებელი და ასე შეიძლება 5 მასწავლებელი მოიქცეს. რა დააშავა ბავშვმა ან ოჯახმა? ასეთ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ასწრებს დავალების შესრულებას, უპასუხისმგებლობასა და სიზარმაცეში რომ არ ჩაეთვალოს, იძულებულია, მეორე დღეს გადაიწეროს სხვა მოსწავლისგან ან საერთოდ არ დაესწროს იმ გაკვეთილს. სამაგიეროდ, ის შედეგი, რომელიც მასწავლებელს ჰქონდა გათვლილი, მიუღწეველი რჩება. გარდა ამისა, ეს იწვევს მოსწავლეთა გაღიზიანებას, გულის აცრუებას სწავლაზე, მოტივაციის დაქვეითებას, მოსწავლეები ამ დროს ფიქრობენ, რომ მთავარია შესრულება და არა შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ხშირად მოსწავლეები იმასაც ჩივიან, რომ მასწავლებელმა საშინაო დავალება მისცა, ბევრი შრომისა და წვალების შემდეგ, როგორც იქნა, შეასრულეს, მაგრამ მასწავლებელმა აღარ შეამოწმა. რა თქმა უნდა, ამ ფორმას უარყოფითი შედეგი მოჰყვება, რადგან, დავალებას, რომელიც გასწორდა, ბევრად უფრო დადებითი გავლენა აქვს მოსწავლის მოსწრებაზე. ამიტომ თითოეულმა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოცულობა იყოს მცირე და ის გასწორდეს, ვიდრე იყოს დიდი და არ გასწორდეს.

მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ მასწავლებელმა მისცეს უკუკავშირი შესრულებულ საშინაო დავალებაზე, აუცილებელი არ არის ნიშანი დაუწეროს, აუხსნას რა შეასრულა და რა ვერ შეასრულა კარგად, ან დაუწეროს კომენტარი. ყოველდღიურად გასწორებული დავალება ამალღებს მოტივაციასა და ეფექტიანობას. ისიც მისაღებია, რომ საშინაო დავალება იყოს ინდივიდუალური, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ზუსტი და მკაფიო ინსტრუქციით.

რას ფიქრობენ მშობლები?

საშინაო დავალებების მომზადებასთან დაკავშირებით მშობლებს, უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ. ერთნი ფიქრობენ, რომ დავალებების მომზადების პროცესში თუკი აქტიურად იქნებიან ჩართულები და ერთობლივად მოამზადებენ დავალებებს, უკეთესი იქნება მათი შვილისთვის. მშობლების სხვა ჯგუფი ფიქრობს, რომ თუკი თავისუფლებას მიაჩიებენ მათ და არ ჩაერევიან მათ სწავლაში, ეს ბავშვის დამოუკიდებლობას გაუსვამს ხაზს. რაც დადებითად იმოქმედებს მის განვითარებაზე. დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, რომ მშობლების ჩართულობა დავალებების შესრულებისას პირდაპირ კავშირშია მოსწავლეთა მიღწევებთან, თუმცა სხვადასხვა კვლევები, ადასტურებს, რომ გარემო, სადაც მოსწავლეს უწევს მეცადინეობა, მის მიღწევებს აუმჯობესებს.

არიან მშობლები, რომლებსაც საშინაო დავალებების რაოდენობაზე საკუთარი შეხედულებები აქვთ: რაც მეტია – უკეთესი. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ამერიკულ ფორუმზე მშობლის კომენტარი ამოვიკითხე, რომელიც საშინაო დავალებების სიმცირეზე წუხდა და უნდობლობას უცხადებდა სკოლას, მას ნამდვილად არ აკმაყოფილებდა ის, რომ ნასწავლი მასალის განმტკიცება საკლასო ოთახში, გაკვეთილზევე ხდებოდა და საშინაო დავალებების სიმცირე სწორედ ამით აიხსნებოდა.

რა როლი აქვს მშობელს შვილის საშინაო დავალების შესრულებისას? უზრუნველყოს მოსწავლე შესაბამისი გარემოთი, მისცეს მითითებები და დაეხმაროს, თუმცა დავალება შვილის ნაცვლად არ უნდა შეასრულოს. ამითი მოსწავლე ზარმაცდება და უპასუხისმგებლო ხდება. ხშირად მასწავლებელი და მშობელი სხვადასხვა ხერხით ასრულებინებენ დავალებას, ამ დროს ბავშვი გაურკვევლობაშია და იბნევა, ამიტომ მასწავლებელსა და მშობელს ბავშვის წარმატებისთვის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა მართებთ.

ყურადღება მინდა გავამახვილო მშობელთა ჩართულობის როლზე მოსწავლეთა საშინაო დავალებების მომზადებისას, როგორ და რა დოზით უნდა იყოს ჩართული

მშობელი ამ პროცესში. ეს სარეკომენდაციო ხასიათის ნაშრომი, თავის მხრივ, შესაძლებელია პედაგოგებმაც გამოიყენონ მშობელთა კრებებზე, მშობლებთან დისკუსიის, სემინარის ორგანიზებისას მსგავსი თემატიკის განსახილველად ან პრობლემის გადასაჭრელად.

შედეგის მისაღწევად გამოვიყენეთ ინტერვენციები, რომლებიც კვლევის პროცესში დაიგეგმა.

ნაშრომი შედგება 7 თავისგან.

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა, პრობლემის აქტუალობის დასაბუთება სამიზნე ჯგუფი.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

თავი III. საკვლევი კითხვების ფორმულირება, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის გეგმა

თავი IV. ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგები

თავი V. კვლევის მეთოდების განხილვა, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგი და მათი ანალიზი

თავი VI. პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

თავი VII. პროექტის ვადები, მიგნებები , რეკომენდაციები, კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა, ბიბლიოგრაფია.

მუშაობის ეს თანამიმდევრობა განაპირობა კვლევის პროცესმა.

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

კვლევის მიზანი: საშინაო დავალების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება, არსებული პრობლემების კვლევა. როგორ დავებმართოთ მოსწავლეებს, რომ მათთვის საშინაო დავალება არ იყოს რუტინა, რომლისგანაც თავის დაღწევას მუდმივად ცდილობენ.

სკოლისა და საზოგადოების გათვალისწინებით აუცილებელია ამ საკითხის მუდმივი კვლევა, რათა მუშაობა შედეგიანი იყოს, მით უმეტეს დაბალ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში, რასაც უდიდესი როლი აქვს ბავშვის სოციალურ-ემოციურ განვითარებაში. მასწავლებელი კი ამ პროცესის წარმმართველი რგოლია მშობელთან ერთად. ამიტომაც დავიწყეთ ამ საკითხის კვლევა ჩვენს სკოლაში სამი კლასის საფუძველზე. შედეგებს გავუზიარებთ კოლეგებს, რათა მათი უკუკავშირით და გამოცდილების გაზიარებით მივიღოთ უკეთესი შედეგები და სკოლა იყოს წარმატებული.

პრობლემის აქტუალობა: იტალიური სკოლის პროფესიული განვითარების ლაბორატორიასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ სკოლის ყველა კათედრის პედაგოგი, სადაც ჯერ კიდევ 2013 წელს დაისვა საკითხი და დადგა საჭიროება მსჯელობისა საშინაო დავალების მიცემის, დავალების მოცულობის სიდიდის, შესრულების ხარისხისა და მოსწავლის მიერ დახარჯული დროის შესახებ. ჩატარდა დისკუსიები ყველა კათედრებს შორის. ითქვა, რომ ეს ერთი რომელიმე საგნის პრობლემა არ არის, არამედ ზოგადი ტენდენციაა. შედარდა სხვადასხვა საგნების პედაგოგების მოწოდებული მონაცემები. დაიწერა სტატიები, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც მასწავლებელი.გე-ში, აგრეთვე სკოლის პროფესიული ლაბორატორიის მიერ მომზადებულ სასკოლო კედლის გაზეთებში და ჟურნალში. ითქვა, რომ მოსწავლეები საშინაო დავალების შესრულებას გულგრილად ეკიდებიან. ნებისმიერი საგნობრივი კომპეტენცია გულისხმობს, დამოუკიდებლად ახერხებდეს მოსწავლე თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ცოდნად გარდაქმნას, რაც სწავლა-სწავლების პროცესში უმნიშვნელოვანესია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მასწავლებელმა ბავშვს უნდა ასწავლოს არა მარტო მასალა, არამედ ის, თუ როგორ ისწავლოს, ამიტომ, ვფიქრობთ, ჯერ მასწავლებელი უნდა გაერკვიოს პრობლემის არსში, რათა მოსწავლის მიერ საშინაო დავალების ხარისხიანად შესრულება უზრუნველყოს, დაეხმაროს მოსწავლეს სწავლის სწავლაში.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

ჰონგ-კონგში, ტაივანსა და იაპონიაში, სადაც მათემატიკის სწავლის კუთხით მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, საშინაო დავალებას ძალიან ცოტას აძლევენ. ასევეა ნიდერლანდებში, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჰოლანდიელი მოსწავლეებისთვის, მათემატიკის ცოდნით მსოფლიო ტოპ-ათეულში შესულიყვნენ. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სკოლის მოსწავლეებს საშინაო დავალებებს არ აძლევენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს არაეფექტურია. (1. <https://sputnik-georgia.com/tips/20170809/236891249/ramdenad-efecturia-saSina-davaleba.html>)

ჩინელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საშინაო დავალებაზე დახარჯული ორი საათი დღეში აუცილებლად იწვევს ძილის დარღვევასა და სტრესს. მთელ მსოფლიოში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების თითქმის 10%-მა დაადასტურა, რომ საშინაო დავალებას ყოველდღე რამდენიმე საათს ანდომებს. (2. <https://sputnik-georgia.com/tips/20170809/236891249/ramdenad-efecturia-saSina-davaleba.html>) ამ იდეის მხარდამჭერთა აზრით, ყველაზე ბევრ საშინაო დავალებას აძლევენ ბავშვებს სუსტი ეკონომიკისა და აშკარად გამოხატული სოციალური უთანასწორობის მქონე ქვეყნებში.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სასკოლო პროგრამის დიდი მოცულობა და ზეწოლა მასწავლებლებზე. მასწავლებელი ფიზიკურად ვერ ასწრებს შეასრულებინოს ბავშვებს გაკვეთილზე მასალა სათანადო მოცულობით, ამიტომ იძულებულია მისცეს საშინაო დავალება.

აქედან გამომდინარე, ის, რომ მასწავლებელმა თავისი საქმიანობა ვეღარ დაინახოს, არასწორია.

რადგან მარტო საშინაო დავალებით არ შემოიფარგლება მოსწვლე-მასწავლებლის ურთიერთობა, თანაც კვლევის ეს შედეგები ეხება დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, საბაზო და საშუალო საფეხურზე იზრდება საშინაო დავალების ხვედრითი წილი

3. <http://mastsavlebeli.ge/?p=2409>

შევჯერდეთ, რომ საშინაო დავალება და პრაქტიკა – სასწავლო პროცესის ორი მნიშვნელოვანი მეთოდია. კონკრეტული უნარის ათვისების პროცესი ყოველთვის გულისხმობს გააზრებას. მოსწავლეს უნდა ესმოდეს იმ უნარ-ჩვევის არსი, რომელსაც ეუფლება. ამისთვის მას კონკრეტული სავარჯიშოების შესრულებაც დასჭირდება. ამავე დროს, ახალი უნარის უკეთ გასააზრებლად საჭიროა, სწორად დაიგეგმოს მოსწავლეთა დროც (ახალი უნარის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას გარკვეული ხანი სჭირდება). ამიტომ არის, რომ ამ დროს სავარჯიშოების/დავალებების მეშვეობით პრაქტიკულად ხდება იმ უნარების განმტკიცება, რომელთა საჭიროებაც გამოიკვეთა გაკვეთილზე. პრაქტიკის დროს მოსწავლეები ათვისებულ მასალას უკეთ გაიაზრებენ და თავიანთი სწავლის საჭიროებებსაც მორგებენ.

მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობა უპირველესად საშინაო დავალების შესრულებაზეა აგებული. იგი აიძულებს მოსწავლეს, შინაც არ შეწყვიტოს სწავლის პროცესი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გაკვეთილზე, რაც უნდა კარგად ჩატარდეს იგი, ხდება მასალის ხანმოკლე დამახსოვრება. ვინაიდან გაკვეთილზე ათვისებული მასალა უახლოესი 10-12 საათის განმავლობაში ინტენსიურად „გვავიწყდება“, სასურველია, საშინაო დავალება იმ დღესვე შესრულდეს – მასალის გაგებიდან პირველი საათის განმავლობაში გვახსოვს მხოლოდ 40%, 2, 2,5 საათის შემდეგ – 28%. ასე რომ, საშინაო დავალება საშუალებას გვაძლევს, ცოდნა ოპერატიული მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში გადავიტანოთ. ამ დროს მოსწავლის ცოდნა და უნარი თანაბრდება. ეს განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, როცა მასალის ათვისებაში დიდი ჩავარდნაა, მაგალითად, გაცდენის გამო.

საშინაო დავალების სწორი ორგანიზებისთვის საჭიროა, მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული დავალების მიზანი. ფუნქციები, შინაარსი, დავალების კონტროლის მექანიზმი.

სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ საშინაო დავალების შემდეგ სახეებს: ინდივიდუალურს, ჯგუფურს, შემოქმედებითს, დიფერენცირებულს, საერთოს მთელი კლასისთვის, დავალებას წყვილისთვის.

საშინაო დავალება შეიძლება გაითვალისწინოს როგორც “ძლიერ”, ისე “სუსტ” მოსწავლეზეც.

. “საერთო დავალება მთელი კლასისთვის” ნაკლებად შემოქმედებითი ხასიათისაა, თუმცა მისი შესრულების დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ სხვადასხვა უნარი და ხდება ცოდნის ფორმირება.

.

საშინაო დავალების დადებითი შედეგი მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუ მოსწავლე ახალი გაკვეთილისადმი უფრო მეტი ინტერესითა და ყურადღებით იქნება განწყობილი. გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოზარდის უნარები და ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიც; დავალების მიცემის დრო (იგი ისე უნდა შეირჩეს: გაკვეთილის დასაწყისში, ბოლოს ან შუაში, – რომ ამან მოსწავლე მოამზადოს, განაწყოს ახალი მასალის მისაღებად, რის შედეგადაც დავალების შესასრულებლად გაწეული მოსაწყენი და მძიმე შრომა შეიძლება სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობად იქცეს);

უნდა ვეცადოთ, საშინაო დავალებები იყოს მრავალფეროვანი, რითაც ხელს შევუწყობთ მოსწავლეებში სხვადასხვა პიროვნული თვისების ჩამოყალიბებას;

სახლში დავალება მხოლოდ მაშინ მივცეთ, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ გაკვეთილზე შევძლებთ მის შემოწმებასა და შეფასებას, ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას არ უნდა დავივიწყოთ საშინაო დავალების დაგეგმვა და ამისთვის დროის გამოყოფა;

გაკვეთილზე აუცილებლად უნდა მოვახერხოთ მოსწავლეთა უნარების შემოწმება, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი სახლში შეძლებს მიცემული დავალების შესრულებას;

დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი აუცილებლად მიეცეთ ვადა, რომლის შემდეგაც მას ხელახლა მოვთხოვთ ამ დავალებას;

თუ მიცემული დავალება მხოლოდ იმას შეიცავს, რაც უკვე ითქვა კლასში, თუ მხოლოდ იმის განმეორება უნდა იყოს, რაც კარგად იცის, მხოლოდ იმ უნარებს განამტკიცებს, რომლებიც კარგად აქვს ათვისებული, მაშინ მისი შესრულება დროის ამო ხარჯვაა მოსწავლისთვის, ზედმეტი სტრესია. ასეთი დავალების ადგილი თანამედროვე სასწავლო სისტემაში არ არის და უმჯობესია, საერთოდ არ მივცეთ. ყოველ ახალ დავალებას ახალ ნიშნულზე უნდა აჰყავდეს მოსწავლე, მისი ცნობისმოყვარეობის სტიმულს უნდა ზრდიდეს.

როგორც აღვნიშნეთ, დავალების შესრულებისას უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კონტროლი და თვითკონტროლი. იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს თავის მიერ შესრულებული დავალების სათანადოდ შეფასება, საჭიროა გამოყოს ის დავალებები რომლებსაც ვერ ასრულებს და უპასუხოს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რატომ? ან გამოყოს დავალებები, რომლებსაც ასრულებს დამატებითი ინფორმაციის წყაროების გამოყენების გზით, შეძლებს თუ არა მეორედ ამავე ტიპის დავალების დამოუკიდებლად შესრულებას?

საშინაო დავალების შესასრულებლად მნიშვნელოვანია დაწვრილებითი ინსტრუქცია. ინსტრუქციაში აუცილებლად უნდა მივუთითოთ სამუშაოს თანამიმდევრობა (რით

დაიწყოს, რაზე გადავიდეს, რით დაამთავროს, როგორ იმუშაოს.) ამავე დროს უნდა შევამოწმოთ, როგორ გაიგო სამუშაოს შინაარსი და მისი შესრულების პირობები.

საშინაო დავალების აგება უნდა მოხდეს თანდათანობითი გართულების წესით.

თუმცა, საშინაო დავალების შესრულების დროს ხანდახან საჭიროა ადრე ნასწავლი მასალის გამეორებაც, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მიმდინარე გაკვეთილთან.

უნარის სათანადოდ განსავითარებლად აუცილებელია, მოსწავლეები სწავლის/დავალების შესრულების ტემპისა და ათვისებული მასალის/შესრულებული დავალების სისწორის კონტროლსაც მივაჩვიოთ.

შესრულებული დავალების ხარისხი გაცილებით მაღალი იქნება, თუ მოსწავლეებს აქტიურად ჩავრთავთ დავალების შერჩევას, ორგანიზებისა და შეფასების პროცესში. მეტად მოტივირებულები იქნებიან გაკვეთილზე, მასწავლებელს კი სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვა გაუადვილდება.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანის სასწავლო სისტემაში საშინაო დავალება სწავლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ მხრივ არც საქართველო და ჩვენი სკოლაა გამონაკლისი.

საშინაო დავალება სწავლა-სწავლების ნაწილია, იქნება ეს წერილობით შესასრულებელი თუ ზეპირად სასწავლი. თუ მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში, ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას, ზრუნავს შესრულებული დავალების ხარისხზე. შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს (Newmann, 1986). ასეთი მოსწავლეები გამოხატავენ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისა და სწავლის მიმართ.

შემოწმება-შეფასება ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში, მისი მეშვეობით ისინი აცნობიერებენ, რა იციან, რას მიაღწიეს და რა უნდა გააუმჯობესონ. სწავლა კეთებისა და უკუკავშირის პროცესში მიმდინარეობს.

ბევრ ქვეყანაში დაწყებით კლასებში საშინაო დავალებას არ აძლევენ. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ უმცროსკლასელი მოსწავლეები დავალებისგან ვერ იღებენ სარგებელს (კუპერი, 2001). ამ გავრცელებული მიდგომისაგან განსხვავებით, გერმანიაში პირველივე დღიდან აქვთ ბავშვებს საშინაო დავალება შესასრულებელი. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს რამდენიმე სკოლამ გერმანიაში საშინაო დავალება აკრძალა. იაპონიაში აკადემიური სწავლება დღეში 6 საათს გრძელდება, საზაფხულო

არდადეგები 6 კვირიანია, ხოლო ზამთრის არდადეგები – 2 კვირიანი. იაპონელ მოსწავლეებს დავალება ყოველდღიურად აქვთ შესასრულებელი, არდადეგების პერიოდის ჩათვლით. აშშ-ში საშინაო დავალება მხოლოდ 1950-იან წლებში გახდა სავალდებულო. მისი შემოღება ცივ ომს უკავშირდება. სკოლის მოსწავლეების მიმართ მოლოდინები გაიზარდა და ქვეყანამ მიზნად დაისახა რუსული სკოლების აკადემიური მიღწევებისთვის გადაეჭარბებინა. საშინაო დავალების სავალდებულო ხასიათი დღემდე შენარჩუნებულია. 2007 წლის კვლევამ გამოავლინა, რომ საშინაო დავალების მოცულობა იზრდება და ამჟამად მისი შესრულება, საშუალოდ, დღეში სამ საათზე მეტ დროს მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს ისე უნდა მიეცეთ და შეასრულონ დავალებები ,მიხვდნენ, რომ საშინაო დავალება დასჯა არ არის. ამისათვის მიეცათ რეკომენდაციები მშობლებსა და მასწავლებლებს (4. <http://mastsavlebeli.ge/?p=1779>).

საინტერესოა, როგორი მიდგომაა საშინაო დავალებისადმი სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგიერთ ქვეყანაში საშინაო დავალებებს იმ მოსწავლეებს აძლევენ, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. ზოგიერთში კი ბავშვებს საშინაო დავალება დამატებითი ვარჯიშისათვის ეძლევათ. ამერიკის საგანმანათლებლო ასოციაციის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლე პირველ კლასში მეცადინეობას უნდა უთმობდეს 10 წუთს. II კლასში – 20 წთ-ს; III-IV – 30 წთ-ს; V-VI – 1 საათს; VII კლასში და ზემოთ- 2 საათს.

ინგლისში ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული საშინაო დავალებისთვის რეკომენდებული საათები. უელსში თვლიან, რომ საშინაო დავალების მოცულობა ეროვნული პოლიტიკით რეგულირებული კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა შემუშავდეს თითოეული სკოლის მიერ. საფრანგეთში მიმდინარე წლამდე დამკვიდრებული იყო კვირაში 4-დღიანი სასწავლო კვირა (8:30-დან 16:30-მდე). ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიის მიხედვით, იგეგმება 5-დღიან სწავლაზე გადასვლა და საშინაო დავალების გაუქმება. ამ გადაწყვეტილების მიზეზად ხელისუფლება მოსწავლეების უთანასწორო მდგომარეობას ასახელებს. იმ ბავშვებისთვის, რომელთაც სახლში სამუშაო პირობები ან მშობლის დახმარება არ აქვთ, საშინაო დავალება არა ცოდნის გაღრმავების, არამედ აკადემიური რეგრესის წყარო ხდება. ამდენად, საფრანგეთში, ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, დავალებებს მოსწავლეები სკოლაშივე, აკადემიური საათების დასრულების შემდეგ, დამხმარე გაკვეთილებზე შეასრულებენ.

მკვლევარების აზრით, საშინაო დავალების ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკზე. კარგად არის ცნობილი, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი. საშინაო დავალების ეფექტურობა მოსწავლეთა ასაკთან ერთად მატულობს. TIMSS-ის მიხედვით, მასწავლებლე-

ბი მოსწავლეთა შეფასებას დროის საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობენ. შეფასების სიხშირე და სწავლების ფორმატი სასკოლო პედაგოგიკის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენს. კვლევებით დადგენილია, რომ საშინაო დავალებების შესრულება ყველაზე შედეგიანია უფროსკლასელებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას კვირში 5-10 საათს უთმობენ. იმავეს თქმა შეიძლება საბაზისო საფეხურის მოსწავლეებზეც. ნაკლებად შედეგიანია ის უმცროსკლასელთათვის (აქ ყურადღება უნდა მიექცეს დავალების მოცულობას, შინაარსობრივ სირთულეს და ა.შ.).

დიახ, შედეგიანია, როდესაც საშინაო დავალება ესადაგება მოსწავლის შესაძლებლობებს და ოჯახიც პასუხისმგებლობით ეკიდება ამას, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მაშინ, თუ უფროსები ასრულებენ გეზის მიმცემის, დამხმარის და არა დავალების „შემსრულებლის“ როლს.

არის თუ არა საშინაო დავალება ეფექტიანი? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი პასუხი არ არსებობს.

პასუხისათვის გავითვალისწინეთ სკოლის ფსიქოლოგების მიერ მოწოდებული პრაქტიკული რჩევები ჩვენც, პედაგოგებმაც და მშობლებმაც, რომლებიც საშინაო დავალებების მომზადებაში ეხმარებიან შვილებს;

თუ კი ბავშვს გაცნობიერებული ექნება დავალების შესრულების აუცილებლობა და ვალდებულება, მას პასუხისმგებლობის გრძნობაც გაუჩნდება, მაგრამ სასურველია, ჯერ გამოვუმუშავოთ გაკვეთილებისადმი, როგორც მისთვის მნიშვნელოვანი საქმისადმი მიდგომა.

მნიშვნელოვანია მივაჩვიოთ ბავშვი წესებს, პროცედურებს, რეჟიმს, რომელიც საბოლოო ჯამში, სისტემატურ ხასიათს შეიძენს და ორგანიზებულობაში გადაეზრდება.

დავალებების შესრულებას ვაწყებინებთ მარტივიდან რთულისკენ პრინციპით. ფსიქოლოგები თვლიან, რომ ნებისმიერ ბავშვს რთული დავალების შესასრულებლად, დიდი დრო სჭირდება, ბავშვი იღლება, თავს წარუმატებლად თვლის, თვითშეფასება ეცემა და ამ დროს შესაძლოა დავალების თავის არიდებისკენ გაუჩნდეს სწრაფვა.

აგრეთვე შეცდომად მიგვაჩნია ჩვენც და განათლების სპეციალისტებსაც მშობლების მხრიდან სასწავლო პროცესის შეწყვეტა იმ მიზნით, როცა ვთხოვთ, მაგალითად, მარკეტში ჩარბენას ან ნაგვის გადაყრას. სამუშაო პროცესისგან მოწყვეტა არ არის რეკომენდებული!

- ✓ ვისწავლოთ ბავშვთან ერთად და არა მის მაგივრად!
- ✓ დავებმართოთ მაშინ, როცა ის ამას საჭიროებს.

- ✓ თუ ხედავთ, რომ თქვენი შვილი სირთულეებს განიცდის დავალებების მომზადებისას, კონსულტაცია გაიარეთ საგნის მასწავლებელთან.
- ✓ ·ხაზი გაუსვით მის წარმატებებს! ხშირად შეაქეთ!
- ✓ „მოლოდინები ზემოქმედებენ ბავშვის ქცევებზე“, ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით (MILLEZ,1975) დამტკიცდა, რომ ის ბავშვი, ვისაც სისტემატურად აქებდნენ აკურატულობის, პასუხისმგებლობის გამო, ცდილობდნენ გაემართლებინათ მოლოდინი და ყოფილიყვნენ აკურატულები, კეთილები და დამჯერები. ნუ დაიშურებთ კეთილ, თბილ სიტყვებს ბავშვისათვის”. (პრაქტიკული ფსიქოლოგია, მანანა ნარგიზაშვილი, თბილისი 2011 ტ.1 გვ .78)
- ✓ ·გამორიცხეთ ნეგატივი თქვენს სასაუბრო ლექსიკაში!

ყველა ბავშვს შესაძლებლობები, განვითარებისა და შესასრულებელი სამუშაოს ტემპი სხვადასხვა აქვს. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. სწორად შერჩეული დავალება კი ხელს შეუწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. ნაკლები იქნება იძულება, ხალისი კი – მეტი. მათ უნდა დარჩეთ თავისუფალი დრო თამაშისთვის, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობისთვის.

4. <http://mastsavlebeli.ge/?p=1779>

განხილული საკითხებიდან გამომდინარე, მასწავლებელს დიდი დაფიქრება მართებს საშინაო დავალების სწორად შერჩევისას, რათა ეს პროცესი დასჯად არ იქცეს, ხოლო მშობელმა კარგად უნდა გაიაზროს თავისი ფუნქცია, რა დოზით დაეხმაროს შვილს.

თავი III. საკვლევი კითხვების ფორმულირება, კვლევის მიზნები

და ამოცანები, კვლევის გეგმა

- რატომ არ სრულდება საშინაო დავალება ?
- რა არის ამის მიზეზი ?

კვლევის ამოცანები:

- რა გავლენა აქვს საშინაო დავალების შესრულებას მოსწავლეთა წარმატებაზე?
- აუმჯობესებს თუ არა სწავლება-სწავლის ხარისხს საშინაო დავალება?

სამიზნე ჯგუფი :

- ✓ მოსწავლეები
- ✓ მასწავლებლები
- ✓ მშობლები

კლასი	მოსწ. რაო-ბა	მშობლ. რაო-ბა
I	12	9/12
III	15	12/15
V	13	12/13

კვლევის ძირითადი ეტაპები :

- ✓ კვლევის მეთოდი - ანკეტირება
- ✓ რეკომენდაციების შემუშავება
- ✓ ინტერვენცია
- ✓ ანალიზი
- ✓ მიღებული გამოცდილების გაზიარება

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

სამუშაო ჯგუფები

ანკეტირება და ანკეტირების შედეგები:

➤ მასწავლებლების, რომლებიც შედიან მოცემულ კლასებში:

- 1-ლი კლასი-ნანა ვაჩიბერიძე
- მე-3 კლასი-ინგა თეთრაძე
- მე-5 კლასი-მაია ცინაძე

➤ მოსწავლეების ანკეტირება შემდეგი კითხვების საშუალებით:

1.	უნდა ასრულებდეს თუ არა საშინაო დავალებას ?	დიახ	არა	არ ვიცი
2.	რა დროს უნდა მოითხოვდეს დავალების შესრულებას?	15 წთ	30წთ	1 სთ
3.	რას უნდა ემსახურებოდეს საშინაო დავალება ?	ცოდნის განმტკიცებას	ახალი ცოდნის შეძენას	ძველი მასალის გახსენებას
4.	ყოველთვის ასწრებ თუ არა დავალების შესრულებას?	დიახ,ყოველთვის	არა	ხშირად
5.	რამდენად რთულია მასწავლებლის მიერ მოცემული დავალებები?	რთული	საშუალოდ	არაა რთული
6.	გჭირდება თუ არა დამატებითი რესურსები?	დიახ	არა	იშვიათად
7.	ასრულებ თუ არა დავალებას დამოუკიდებლად ?	დიახ	არა	ხანდახან
8.	რა ტიპის დავალება	ტექსტური	საკონტროლო	პრეზენტაცია

	დაგანტერესებდა ?			
--	------------------	--	--	--

➤ მშობლების ანკეტირება შემდეგი კითხვების საშუალებით:

1.	უყვარს თქვენს შვილს საშინაო დავალების შესრულება ?	უყვარს	არ უყვარს	გააჩნია დავალებას/საგანს
2.	ეხმარებით თუ არა საშინაო დავალების შესრულებაში ?	დიახ	არა	იშვიათად
3.	რამდენჯერ შეუმოწმეთ შვილს შესრულებული დავალება ?	ყოველთვის	არასდროს	იშვიათად
4.	იყენებს თუ არა დამხმარე საშუალებად დამატებით რესურსებს ?	ყოველთვის	არასდროს	იშვიათად
5.	რა მოცულობის უნდა იყოს საშინაო დავალება?	მცირე მოცულობის	საშუალო მოცულობის	სრული
6.	უნდა ასრულებდეს თუ არა მოსწავლე საშინაო დავალებას?	დიახ	არა	ზოგჯერ

თავი IV. ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგები


➤ მოსწავლეები გამოიკითხა შემდეგი კითხვების საშუალებით:

(I-12 მოსწავლე, III-15 მოსწავლე, V-13 მოსწავლე, სულ გამოიკითხა 40 მოსწავლე)


კითხვა N1: უნდა ასრულებდეს თუ არა მოსწავლე საშინაო დავალებას?

I ¹	დიახ	6/12-დან	50 %	საშუალოდ სამივე კლასში: (40-დან 24-მა)		
	არა	2/12-დან	53 %			
	არ ვიცი	4/12-დან	77 %			
III ¹	დიახ	9/15	60%	დიახ 25/40	არა 5/40	არ ვიცი 10/40
	არა	2/15	13 %			
	არ ვიცი	4/15	27 %			
V ²	დიახ	10/13	77 %	62,5%	12,5%	25%
	არა	1/13	8 %			
	არ ვიცი	2/13	16 %			

1. უნდა ასრულებდეს თუ არა მოსწავლე საშინაო დავალებას?




დასკვნა1: გამოკითხვამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალ კლასში გადადიან მოსწავლეები უფრო მეტად ანიჭებენ მნიშვნელობას საშინაო დავალების შესრულებას!




კითხვა N2.

რა დროს უნდა მოითხოვდეს მოსწავლისგან დავალების შესრულება?

I ¹	15 წთ	8/12-დან	67%	საშუალოდ სამივე კლასში: (40-დან 24-მა)		
	30წთ	3/12-დან	25%			
	1 სთ	1/12-დან	8%			
III ¹	15 წთ	8/15	53%	15 წთ	18/40	45%
	30წთ	5/15	33%	30 წთ	13/40	32,5%
	1 სთ	2/15	13%	1 სთ	9/40	22,5%
V ²	15 წთ	2/13	15%	45%	32,5%	22,5%
	30წთ	5/13	38%			
	1 სთ	6/13	46%			



დასკვნა 2. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალ კლასში გადადიან მოსწავლეები უფრო მეტად ანიჭებენ მნიშვნელობას საშინაო დავალების შესრულებისათვის მეტი დროის დახარჯვას, მაგრამ უმრავლესობას დაწყებითი საფეხურიდან არ სურს 15-30 წთ-ის მეტის დახარჯვა საშინაო დავალების შესრულებისათვის!!!




კითხვა N 3. რას უნდა ემსახურებოდეს საშინაო დავალება ?

I ¹	ცოდნის განმტკიცებას	8/12-დან	67%	საშუალოდ სამივე კლასში: (40-დან 24-მა)		
	ახალი ცოდნის შეძენას	1/12-დან	8%			
	ძველი მასალის გახსენებას	3/12-დან	25%			
III ¹	ცოდნის განმტკიცებას	8/15	53%	ცოდნის განმტკიცებას 18/40	ახალი ცოდნის შეძენას 13/40	ძველი მასალის გახსენებას 9/40
	ახალი ცოდნის შეძენას	2/15	13%			
	ძველი მასალის გახსენებას	5/15	33%			
V ²	ცოდნის განმტკიცებას	9/13	69%	63%	10%	27%
	ახალი	1/13	8%			

	ცოდნის შექმნას					
	ძველი მასალის გახსენებას	3/13	23%			

რას უნდა ემსახურებოდეს საშინაო დავალება ?




დასკვნა: გამოკითხვამ აჩვენა, რომ

ა) საშინაო დავალება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ცოდნის განმტკიცებას სამივე კლასისათვის მნიშვნელოვანია და მაღალ შეფასებას აძლევენ-63%;

ბ) მათ ნაკლებად მიაჩნიათ საშინაო დავალებით ახალი ცოდნის შექმნა-სამივე კლასი აძლევს დაბალ შეფასებას-10%;


გ) ძველი მასალის გახსენება საშინაო დავალებით სამივე კლასისათვის მნიშვნელოვანია და საშუალო შეფასებას აძლევენ-27%;




კითხვა N 4. ყოველთვის ასწრებ თუ არა დავალების შესრულებას?

I ¹	დიახ	6/12-დან	50 %	საშუალოდ სამივე კლასში: (40-დან 24-მა)		
	არა	2/12-დან	53 %			
	ხშირად	4/12-დან	77 %			
III ¹	დიახ	9/15	60%	დიახ 25/40	არა 5/40	არ ვიცი 10/40
	არა	2/15	13 %			
	ხშირად	4/15	27 %			
V ²	დიახ	10/13	77 %	62,5%	12,5%	25%
	არა	1/13	8 %			
	ხშირად	2/13	16 %			

4. ყოველთვის ასწრებ თუ არა დავალების შესრულებას?




დასკვნა: გამოკვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალ კლასში არიან მოსწავლეები, მეტი პასუხისმგებლობით ასრულებენ და ასწრებენ საშინაო დავალებებს-62,5%




კითხვა N 5. რამდენად რთულია მასწავლებლის მიერ მოცემული დავალებები?

I ¹	რთულია	5/12-დან	42 %	საშუალოდ სამივე კლასში: (40-დან 24-მა)		
	საშუალოდ რთულია	3/12-დან	25%			
	არაა რთული	4/12-დან	16 %			
III ¹	რთულია	8/15	53%	დიახ 15/40	არა 12/40	არ ვიცი 13/40
	საშუალოდ რთულია	3/15	20 %			
	არაა რთული	4/15	27 %			
V ²	რთულია	2/13	15%	37%	30%	33%
	საშუალოდ რთულია	6/13	46%			
	არაა რთული	5/13	39 %			

5. რამდენად რთულია მასწავლებლის მიერ მოცემული დავალებები?



დასკვნა: გამოკვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები საშუალო ასაკის მოსწავლეებს უფრო ერთულებათ(37%+30%=67%), ხოლო 33% თვლის რომ რაც მეტად ემატებათ ასაკი, მით ნაკლები სირთულეები ხვდებათ საშინაო დავალების შესრულებისას




კითხვა N 6. გჭირდება თუ არა დამატებითი რესურსები ?


I ¹	დიახ	4/12-დან	33 %	საშუალოდ სამივე კლასში: (40-დან 24-მა)		
	არა	7/12-დან	58 %			
	იშვიათად	1/12-დან	9 %			
III ¹	დიახ	4/15	27%	დიახ 14/40	არა 18/40	იშვიათად 8/40
	არა	9/15	60%			
	იშვიათად	2/15	13%			
V ²	დიახ	6/13	46%	35%	44%	21%

	არა	2/13	15 %			
	იშვიათად	5/13	39%			

6. გჭირდება თუ არა დამატებითი რესურსები ?




დასკვნა: გამოკვლევამ აჩვენა, რომ დამატებითი რესურსები საშინაო დავალების მომზადების სჭირდება 35%-ს, ხოლო $44\% + 21\% = 65\%$ თვლის, რომ მეტ-ნაკლებად სჭირდებათ საშინაო დავალების სასასრულებლად დამატებითი რესურსები




კითხვა N 7. ასრულებ თუ არა დავალებას დამოუკიდებლად ?

I ¹	დიახ	5/12-დან	42 %	საშუალოდ სამივე კლასში: (40-დან 24-მა)		
	არა	6/12-დან	50 %			
	იშვიათად	1/12-დან	8 %			
III ¹	დიახ	9/15	60%	დიახ 25/40	არა 9/40	იშვიათად 6/40
	არა	2/15	13 %			
	იშვიათად	4/15	27 %			
V ²	დიახ	11/13	85 %	62%	24%	14%
	არა	1/13	8 %			
	იშვიათად	1/13	7%			

7. ასრულებ თუ არა დავალებას დამოუკიდებლად ?




დასკვნა: გამოკვლევამ აჩვენა, რომ ასაკის ზრდასთან ერთად მოსწავლეების უმეტესი ნაწილი 62% საშინაო დავალებას ასრულებს მეტად დამოუკიდებლად, 24%-ს სჭირდება უფროსის დახმარება, ხოლო 14%-ს უჭირს ხანდახან მაინც სჭირდება უფროსის დახმარება




კითხვა N 8. რა ტიპის დავალებამ დაგაინტერესებდა ?

I ¹	ტესტური	8/12-დან	66 %	საშუალოდ სამივე კლასში: (40-დან 24-მა)		
	დავალებები ღია კითხვებით	2/12-დან	17 %			
	პრეზენტაცია	2/12-დან	17 %			
III ¹	ტესტური	8/15	53%	დიახ 23/40	არა 12/40	არ ვიცი 5/40
	დავალებები ღია კითხვებით	5/15	33 %			
	პრეზენტაცია	2/15	13 %			
V ²	ტესტური	7/13	54 %	58%	29%	13%
	დავალებები ღია კითხვებით	5/13	38 %			
	პრეზენტაცია	1/13	8%			

8. რა ტიპის დავალებამ დაგაინტერესებდა ?



დასკვნა: გამოკვლევამ აჩვენა, რომ სამივე ასაკის მოსწავლეებს ეიოლებათ და ეხალისებათ უფრო ტესტური ტიპის საშინაო დავალების შესრულება, დავალება ღია კითხვებით უფრო მაღალ კლასებში აინტერესებთ, პრეზენტაციის მომზადება კი უფრო პატარებს აინტერესებთ




- მშობლების ანკეტირება შემდეგი კითხვების საშუალებით:
 გამოიკითხა მშობლები:
 პირველ კლასში 9/12-დან
 მესამე კლასში 12/15-დან
 მეხუთე კლასში 12/13-დან
 სულ 33/40-დან

კითხვა N 1:

საშუალოდ, უყვარს თქვენს შვილს საშინაო დავალების შესრულება ?

მშობელთა რაოდენობა	უყვარს	არ უყვარს	გააჩნია დავალებას
33/40	17/33	6/33	10/33
	50%	20%	30%




დასკვნა: მშობლები თვლიან, რომ მათი შვილების ნახევარს 50%-ს უყვართ საშინაო დავალების შესრულება, მეორე ნახევარს კი მეტ-ნაკლებად, გააჩნია დავალებას 30%.

კითხვა N 2:

საშუალოდ, ეხმარებით თუ არა თქვენს შვილებს საშინაო დავალების შესრულებაში ?


მშობელთა რაოდენობა	დიახ	არა	იშვიათად
33/40	18/33	7/33	8/33
	55%	20%	25%



დასკვნა: მშობელთა მეხუთედი ვერ ეხმარება მოსწავლეებს დავალების შესრულებაში, ნახევარზე მეტი კი დაკავებულია ამ საქმით დაწყებით საფეხურზე.

კითხვა N3: რამდენჯერ შეუძომწმეთ შვილს შესრულებული დავალება ბოლო თვის განმავლობაში?

მშობელთა რაოდენობა	ყოველთვის	არასდროს	იშვიათად
33/40	18/33	10/33	5/33
	55%	30%	15%




დასკვნა: მშობელთა 55-70% ნახევარზე მეტი უმოწმებს შვილებს საშინაო დავალების რეგულურს, საშინაო დავალებებს, ხოლო მესამედი ვერ იცლის.

კითხვა N 4:

იყენებს თუ არა თქვენი შვილი დამხმარე საშუალებად დამატებით რესურსებს ?


მშობელთა რაო-ბა	დიახ	არა	იშვიათად
33/40	12/33	18/33	3/33
	36%	55%	9%



დასკვნა: აღმოჩნდა, რომ დამხმარე საშუალებად დამატებით რესურსებს იყენებს მოსწავლეების 36%, ხოლო ნახევარი ნაწილი მოსწავლეებისა არ იყენებს, თვლის, რომ არ სჭირდება

კითხვა N 5: რა მოცულობის უნდა იყოს საშინაო დავალება?


მშობ. რაო-ბა	მცირე მოცულ.	საშ. მოცულ.	სრული
33/40	6/33	22/33	5/33
	18%	67%	15%



დასკვნა: მშობელთა უმრავლესობას სურს საშინაო დავალების მოცულობა იყოს საშუალო ზომის, რათა ხალხისთვის შეასრულოს ბავშვმა დავალება.

კითხვა N 6: უნდა ასრულებდეს თუ არა მოსწავლე საშინაო დავალებას?

მშობელთა რაოდენობა	დიახ	არა	ზოგჯერ
33/40	20/33	5/33	8/33
	60%	15%	24%



დასკვნა: მშობელთა უმრავლესობა თვლის, რომ საშინაო დავალება აუცილებელია, მხოლოდ 15% ითხოვს, რომ მოსწავლეებს არ მიეცეთ სახლში დავალება

თავი V. კვლევის მეთოდების განხილვა, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგი და მათი ანალიზი

კვლევის ამ მეთოდმაც გამოკვეთა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომ

1. მოსწავლეები 33% საჭიროდ არ მიიჩნევენ საშინაო დავალების შესრულებას, ხოლო 59% მიაჩნია, რომ აუცილებლად შესასრულებელია. მიუხედავად ამისა, 30% - მეტი

რეალურად არ ასრულებს დავალებას რეგულარულად. ორი ძირითადი მიზეზი, რომლებსაც მოსწავლეები ასახელებენ ზეპირი განმარტების დროს, თუ რატომ არ შეასრულეს საშინაო დავალება: 1. „ვერ გავიგე“ 2. „არ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა“.

რაც შეეხება პირველ მიზეზს, მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევა.

მეორე მიზეზი კი - „არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა“ - ძირითადად, ყურადღების დეფიციტით არის გამოწვეული, რაშიც მასწავლებლის „ბრალეულობა“ ის არის, რომ საშინაო დავალების აქტივობა სრულდება გაკვეთილის ბოლოს, როცა მოსწავლეების მოსმენისა და აღქმის უნარი მნიშვნელოვნად მცირდება.

2. მეორე საკითხი არანაკლები მნიშვნელობის ინფორმაციას იძლევა _ რამდენად მზად არიან დიდი დრო დაუთმონ საშინაო დავალებას. მხოლოდ 8% აქვს სურვილი ერთ საგანში 1 საათი მოანდომოს დავალების შესრულებას, რაც ნამდვილად გასათვალისწინებელია. დღეში 4, 5, 6 საგანი აქვთ მოსამზადებელი. თითო საათის დავალება რომ მოამზადონ, ამას ერთ კვირასაც ვერ გაუძლებენ. ამიტომაც 50% უფრო რელისტურად სახავს, რამდენი ხანი შეიძლება დახარჯოს ნაყოფიერად.
3. მესამე საკითხი - უმრავლესობას სწორად ესმის, რომ საშინაო დავალების შესრულება ემსახურება მიღებული ცოდნის განმტკიცებას.
4. მიუხედავად ამისა, ასწრებენ თუ არა მათთვის სასარგებლო საქმის გაკეთებას ხარისხიანად 20% მიიჩნევს, რომ ამას ვერ ახარხებს, რადგან დრო არ ჰყოფნით.
5. ისინი თვლიან(70%), რომ საკმაოდ რთულია მასწავლელის მიერ მიცემული დავალება, მხოლოდ 5% მიაჩნია ადვილად შესასრულებლად.
6. მით უმეტეს, თუ დავალების შესრულებას რესურსის მოძიებაც სჭირდება, თუმცა ახალი რესურსის მოძიებას 60% არც ისე ხშირად საჭიროებს.
7. დავალების დროს დახმარებას 58% არ საჭიროებს, მხოლოდ 20% აღიარებს, რომ სხვისი ჩარევაა აუცილებელი, რომ დავალება შეასრულოს.
8. უიოლდებათ საქმე, თუ დავალება ტესტურია, რადგან ეს, როგორც ჩანს, დიდ ძალისხმევას არ მითხოვს მათგან.

დისონანსურია მშობელთა ანკეტირების შედეგები, რადგან

1. 70% მიაჩნია, რომ საშინაო დავალების შესრულებაში შვილს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იციან, მისმა შესრულებამ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი უნდა განუვითაროს მოსწავლეს.
2. შესრულებულ დავალებასაც უმოწმებენ და ისიც იციან, რომ რესურსების მოძიებაც ხშირად სჭირდებათ.
3. საშუალო მოცულობის დავალებას 82% უჭერს მხარს,
4. და 100% მიაჩნია საშინაო დავალება აუცილებელ აქტივობად.

სულ სხვა რეალობა დაგვანახა სწავლის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ შემოწმებულმა საშინაო დავალების რვეულებმა.

ყველა დავალება შესრულებულია ინსტრუქციის შესაბამისად	დავალებების ნაწილია შესრულებულია ინსტრუქციის შესაბამისად	უმრავლეს შემთხვევაში არ არის დავალება შესრულებული	ერთი-ორჯერ აქვს მხოლოდ დავალება შესრულებული
20%	15%	50%	15%

გამოკითხვებიდან და რეალური სურათიდან გამომდინარე, მოსწავლეების პრობლემურ საკითხად მივიჩნიეთ დავალების რაოდენობა, სირთულე - მისი შესრულების გამოცდილების უქონლობა. დროის განაწილება დავალების შესრულებისათვის.

ინტერვენციის სახით შევთანხმდით და დავგეგმეთ დავალებები მიგვეცა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. მივცეთ მოსწავლეებს მცირე მოცულობის საშინაო დავალება;
2. ავხსნათ დავალების შესრულების მიმართულებები;
3. წერილობით წარმოვადგინოთ დავალების დასახელება თვალსაჩინო ადგილზე (დაფაზე);

4. ავუხსნათ, რა დრო, რა ინფორმაცია დასჭირდებათ მოსწავლეებს ამა თუ იმ დავალების შესრულებისას (მეტ-ნაკლებად).

სამი თვის განმავლობაში მივეცით ყველა ტიპის დავალება, ვაკვირდებოდით შესრულების ხარისხსა და რაოდენობას, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი შედეგი, რომელიც მოსწავლეთა გამოკითხვამ აჩვენა:

დავალების შესრულება	პროცენტული მაჩვენებელი
ყველა დავალებას ხარისხიანად ასრულებდა	45%
ყველა დავალებას საშუალო დონეზე ასრულებდა	45%
ისევ არ/ვერ ასრულებდა	10%

მაგრამ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 10%- ში სხვადასხვა მოსწავლეები ხვდებოდნენ, რაც ნიშნავს, რომ ამასაც თავისი ახსნა უნდა მოეძებნოს, რისთვისაც უფრო მასშტაბური კვლევის ჩატარება იქნება საჭირო.

ინტერვენციამ გამოკვეთა შემდეგი:

1. ხარისხის ზრდა შესაძლებელია;
2. შემუშავებულმა რეკომენდაციებმა გაამართლა, თუმცა ეტაპობრივად საჭიროებს დახვეწას, რათა არ შეწყდეს პროგრესი.

ინტერვენციის მეორე ფაზაზე შევაგროვეთ მონაცემები შემდეგი მიმართულებით:

მასწავლებელთა ჩასანიშნ ცხრილში ასახული მონაცემები:

საშინაო დავალება	1-ლი კვირა	მე-2 კვირა	მე-3 კვირა	მე-4 კვირა
დავალებას ასრულებს	30 %	33%	42%	45%
დამატებითი რეკომენდაციები და დრო სჭირდება	37%	31%	29%	35%
არ ითვალისწინებს რეკომენდაციებს	20 %	15%	17%	15%
საერთოდ არ ასრულებს	10 %	10%	10%	10%

დაკვირვებამ გამოკვეთა, რომ თუ მუდმივად აკონტროლებ შესრულების ხარისხს, მაშინ პროგრესი გარანტირებულია, მუდმივი უკუკავშირი, იძლევა საშუალებას შეინარჩუნო სტაბილური ზრდა ხარისხისა.

თავი VI. პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევის კომპეტენციის უნარის ფლობა. მასწავლებელი კოლეგებთან ერთად გეგმავს სპეციალურ კვლევით სამუშაოებს, ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში (პროფესიული განვითარება , მუხლი 133,).

1) შეუძლია საკვლევი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება ,საკუთარი და კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.(პროფესიული განვითარება მუხლი 139)

2) სწორედ ამიტომ “მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის “ მიხედვით წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ერთ ერთი სავალდებულო აქტივობაა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იდენტიფიცირებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კვლევის განხორციელება , ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად პრაქტიკული კვლევის განხორციელება სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე.

კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება , მისი სისტემატური დოკუმენტირება და გაფორმება კვლევის ანგარიშის, სტატიის, პროექტის და სხვა სახით.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს. ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, ჩატარებული მასწავლებელთა მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

პროფესიონალია მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება, პოვნა, ახალი იდეების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო წამოჭრილი სიძნელეების დროს კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად.

ამრიგად , პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არის პედაგოგების, დირექტორების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა კონკრეტული მასწავლებლის, სკოლის საქმიანობის, სწავლა სწავლების და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და გაუმჯობესების მიზნით.

პრაქტიკის კვლევის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კვლევაში ჩართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საუკეთესო საშუალებაა, პროფესიულად მზარდი მასწავლებელი მუდმივად განაახლებს საკუთარ პედაგოგურ პრაქტიკას, რაც სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა მოსწრების გამჯობესების აუცილებელი პირობაა.

საშინაო დავალების პრობლემის კვლევამ და იდენტიფიცირებამ ცხადყო, რომ მასწავლებელმა თითოეულ კლასთან ცალკე უნდა გაარკვიოს, განიხილოს მშობლებთან და მოსწავლეებთან, ძალიან ხომ არ არიან ისინი დატვირთული საშინაო დავალებებით. უნდა დარწმუნდეს, რომ დავალება ნამდვილად დადებით გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებასა და, მთლიანად, სასწავლო პროცესზე.

თავი VII. პროექტის ვადები, მიგნებები, რეკომენდაციები, კვლევის

ნაკლოვანებები, დასკვნა, ბიბლიოგრაფია

აქტივობები	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირე ბა	X			
კვლევის გეგმის შემუშავება	X			
კითხვარის შედგენა	X			
კითხვარის შეესება მშობლები მიერ		X		
კითხვარის ანალიზი		X		
მოსწავლეთა ანკეტირება		X		
მონაცემების ანალიზი		X		
ინტერვენციების დაგეგმვა		X		
ინტერვენციის განხორციელება		X	X	
დაკვირვება		X	X	

ინტერვენციების შედეგების ანალიზი				X
--	--	--	--	---

მიგ
ნებ
ები

საერთოდ საშინაო დავალების დადებითი შედეგი მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუ მოსწავლე ახალი გაკვეთილისადმი უფრო მეტი ინტერესითა და ყურადღებით იქნება განწყობილი. ამისთვის რამდენიმე მომენტი უნდა გავითვალისწინოთ:

1. საშინაო დავალების მიღწევადობა და დოზირება;
2. საშინაო დავალების მრავალფეროვნება;
3. დავალების შესრულება ანუ ცოდნის შექმნა პიროვნული ხასიათის პროცესად უნდა იქცეს. ამით მოსწავლეს შეეძლება, ცოდნა გადააქციოს შემეცნების ინსტრუმენტად, რაც უაღრესად დადებით გავლენას მოახდენს.
4. გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოზარდის უნარები და ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიც;
5. შესრულებული სამუშაო მითითებულ დროში და სათანადოდ უნდა შეფასდეს (დაუშვებელია მიცემული დავალების ეპიზოდურად, დროის დაუცველად გასწორება. ეს ისეთივე დეზორგანიზებულს ხდის სასწავლო პროცესს, როგორსაც საშინაო დავალების მიუცემლობა)
6. სახლში დავალება მხოლოდ მაშინ მივცეთ, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ გაკვეთილზე შევძლებთ მის შემოწმებასა და შეფასებას.

რეკომენდაციები, რომლების გათვალისწინებამ აშკარად შეცვალა არსებული მონაცემები:

1. საშინაო დავალების დოზირება;
2. შესრულების მიმართულებების ახსნა-განმარტება;
3. საშინაო დავალების დასახელება თვალსაჩინოდ წარმოდგენა (დაფაზე);
4. დროის განსაზღვრა, ინფორმაციულობა ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად (მეტ-ნაკლებად).

კვლევის ნაკლოვანებები:

1. მონაცემთა სიმწირე;
2. პრობლემის მასშტაბურობის გამო მხოლოდ რამდენიმე საკითხის განხილვა;
3. შედეგების არასრული ანალიზი.

(კვლევის პროცესში თავი იჩინა საკმაოდ ბევრმა სხვა პრობლემამ, რომლებიც საკვლევ საგანს უკავშირდებოდა, მაგრამ ერთდროულად ბევრ საკითხზე მუშაობა ვერ მოხერხდა, საკვლევი მიზნიდან გამომდინარე. მომავლისთვის გავითვალისწინებთ აღნიშნულ ნაკლოვანებებს).

დასკვნა

- ❖ საშინაო დავალების მიზნობრივად გამოყენება აუმჯობესებს სწავლება - სწავლის შედეგებს;
- ❖ მასწავლებლის მხრიდან მუდმივი უკუკავშირი ხელს უწყობს ხარისხიან მუშაობის პროცესს;
- ❖ მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროების გათვალისწინებით ხორციელდება, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას;
- ❖ საშინაო დავალების ეფექტური გამოყენებისათვის საჭიროა მუდმივად კლასის საჭიროებების კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.mastsavlebeli.ge/>
2. <http://rcs.ge/?p=288>
3. <http://rcs.ge/?p=288#sthash.Z2ShdEXC.dpuf>
4. <http://www.4motivi.com/>
5. <http://www.axaliganatleba.ge/>
6. ია კუტალაძე, სექტემბერი 2012 “საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში”
7. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, თბილისი, 2004
8. <http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%>
9. <https://sputnik-georgia.com/tips/20170809/236891249/ramdenad-efeqturia-saSina-davaleba.html>
10. <http://mastsavlebeli.ge/?p=2409>
11. <http://mastsavlebeli.ge/?p=1779>

რეფლექსია

ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლაში „ცისკარი“ 1 -ლი, მე -3 და მე-5 კლასების პედაგოგებმა ნანა ვაჩიბერიძემ, ინგა თეთრადემ და მია ცინაძემ ჩავატარეთ კვლევა მათემატიკაში „საშინაო დავალებასთან დაკავშირებული სირთულეები“.

სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია საშინაო დავალება, რომელმაც უნდა განამტკიცოს ნასწავლი მასალა, ან უნდა გამოავლინოს მოსწავლის შემოქმედებითი უნარი, ან უნდა მოამზადოს მოსწავლე ახალი ცოდნის მისაღებად. თუმცა საშინაო დავალებასთან დაკავშირებული სირთულეები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სერიოზული პრობლემაა, ამიტომ ჩვენ მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ ეს საკითხი (რამდენადაც შესაძლებელი იყო) სიღრმისეულად შეგვესწავლა.

კვლევა განვახორციელეთ 2018 – 2019 სასწავლო წელს მათემატიკის საგანში დაწყებით საფეხურზე. კვლევა გრძელდებოდა 3 თვის მანძილზე. მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა - ანკეტირება ვაწარმოეთ ანონიმურად წერილობითი ფორმით, გარდა 1-ლი კლასის მოსწავლეებისა, მათ ჩავუტარეთ ზეპირი გამოკითხვა სკოლის ფსიქოლოგის რჩევითა და თანდასწრებით.

დაგეგმილი კვლევის განსახორციელებლად დავიწყეთ მონაცემთა შეგროვება, მიღებული შედეგები ეტაპობრივად განვიხილეთ სამუშაო შეხვედრებზე, რის შემდეგაც დავგეგმეთ ინტერვენციები. რეკომენდაციების შემუშავებისას გავითვალისწინეთ ერთმანეთის აზრი. სამწუხაროდ, პრობლემის მასშტაბურობის გამო, ყველა მიმართულებით ვერ მოვახერხეთ მუშაობა (კარგი იქნებოდა, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში ჩატარებულიყო კვლევა მათემატიკის მიმართულებით), შესაბამისად გაკეთდა შედეგების არასრული ანალიზი. თუმცა, ის მიგნებები, რომლებიც გამოვკვეთეთ აღნიშნულ კვლევაში, საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს კოლეგებმაც. მაგრამ ამან მუშაობის გაგრძელების აუცილებლობაც გამოკვეთა, განსაკუთრებით მშობელთა ჩართულობის პროცესში. ცხადი გახდა, რომ მათი ანკეტირებით მიღებული ინფორმაცია მხოლოდ დისონანსს ქმნიდა როგორც მოსწავლეებისგან მიღებულ ინფორმაციასთან, ისე ჩვენი დაკვირვებით და მათთან გასაუბრებით მოპოვებულ ინფორმაციასთან.

რეკომენდაციები, რომლების გათვალისწინებამ აშკარად შეცვალა არსებული მონაცემები, გახლავთ:

1. საშინაო დავალების დოზირება;
2. შესრულების მიმართულებების ახსნა-განმარტება;
3. საშინაო დავალების თვალსაჩინოდ წარმოდგენა (დაფაზე).
4. დროის განსაზღვრა, ინფორმაციულობა ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად (მეტ-ნაკლებად).

დასკვნა, რომლიც მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვიტანეთ, შემდეგია:

1. საშინაო დავალების მიზნობრივად გამოყენება აუმჯობესებს სწავლება - სწავლის შედეგებს;
2. მასწავლებლის მხრიდან მუდმივი უკუკავშირი ხელს უწყობს ხარისხიან მუშაობის პროცესს;
3. მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროების გათვალისწინებით ხორციელდება, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას;
4. საშინაო დავალების ეფექტური გამოყენებისათვის საჭიროა მუდმივად კლასის საჭიროებების კვლევა.

ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით შევისწავლეთ, საკმაოდ სასარგებლო ინფორმაციას იძლეოდა, როგორ საქართველოს, ისე განათლების სისტემაში მოწინავე ქვეყნების გამოცდილების შესახებ. აქტივობები, რომლებიც განვახორციელეთ, სწორედ შესწავლილი ლიტერატურისა და კოლეგების რჩევით შევარჩიეთ.

კვლევის დასრულების შემდეგ, კვლევის შედეგები და რეკომენდაციები გავუზიარეთ კოლეგებს, რომლებმაც ყურადღებით მოისმინეს, ნაშრომი შეაფასეს დადებითად და გამოთქვეს საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრებები. აღნიშნეს, რომ მითითებულ რეკომენდაციებს აუცილებლად გაითვალისწინებენ, რათა სასწავლო პროცესი გახდეს უფრო საინტერესო, საშინაო დავალების შესრულება კი სახალისო. დროული უკუკავშირები კი დაეხმარათ მოსწავლეებს ნაკლოვანებების დროულ გამოსწორებაში და შესაბამისად ამაღლდება მათი აკადემიური მოსწრების დონე და გაუმჯობესდება სწავლა - სწავლების ხარისხი.

აღნიშნულმა კვლევამ დიდი გამოცდილება შეგვძინა, სწავლების პროცესში დავაკვირდეთ და შევისწავლოთ პრობლემული საკითხი და დეტალებზე ვიყოთ ორიენტირებულნი. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ხომ არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, ჩატარებული მასწავლებელთა მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.